

## კითხვარი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის

გთხოვთ უპასუხოთ თემატურად დაჯგუფებულ შეკითხვებს. თითოეული კითხვის პასუხი არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას. შეგიძლიათ არ უპასუხოთ შეკითხვებს, რომლებზეც პარტიას ჯერჯერობით არ აქვს გამოკვეთილი მკაფიო პოზიცია ან, მისივე შეფასებით, ესა თუ ის საკითხი არ საჭიროებს ცალკე პოლიტიკის გატარებას.

### COVID 19-ის პანდემიის შედეგებთან გამკლავება: ეკონომიკა და საზოგადოება

COVID 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას და მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური წესი. შემოთავაზებული შეკითხვებიდან რამდენიმე ეხება თქვენი პარტიის როგორც ეკონომიკურ, ისე ზოგად გეგმებს, მათ შორის პანდემიის ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად შემუშავებულ ღონისძიებებს:

**1. როგორია თქვენი პარტიის გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა? რა არის პრიორიტეტული პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიაში და რა კონკრეტულ ინიციატივებს სთავაზობთ ამომრჩეველს?**

სწრაფი გამდიდრებისთვის აუცილებელია, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა ხალხისთვის. მაგალითად, დღეს სახელმწიფო საკუთრებაშია უძრავი ქონების 70-75%, რომელიც რეალურად მიტოვებულია უპატრონოდ და, სახელმწიფო პოლიციის და ე. წ. ეგერების მეშვეობით იცავს ამ ტერიტორიას.

ვფიქრობთ, რომ ეს ქონება არის საქართველოს მოქალაქეების საკუთრება და უნდა განაწილდეს მათ შორის თანაბრად. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ჩვენი თანამოქალაქეების სწრაფი გამდიდრება და, ამავდროულად, დიდი ოდენობით ახალი უძრავი ქონების ჩართვა ეკონომიკაში.

ასევე, ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის აუცილებელია, შემცირდეს საგადასახადო ტვირთი (30-50%-ით) და შემზღუდავი რეგულირებები. ამას უნდა მოჰყვეს ბიუროკრატიის მკვეთრი შემცირება, რაც ადამიანებს მისცემს სტიმულს, დაიწყონ აქტივობა.

**2. რა ზომების გატარებას აპირებთ როგორც შიდა, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გასაზრდელად ქვეყანაში?**

უცხოური ინვესტიციის შემოსვლისთვის აუცილებელია არსებობდეს სათანადო ბიზნესგარემო, რათა ინვესტორებს გაუჩნდეთ ნდობა ჩვენს ქვეყანაში ფულის ჩასადებად. ამ ნდობის შექმნა წარმოუდგენელია ბევრი იმ ფაქტორის გაუთვალისწინებლად, რომლებსაც ამ კითხვარში სხვადასხვა კითხვაზე პასუხის გაცემისას შევეხებით. თუმცა უმთავრესი, რაც ამ გარემოს შექმნას სჭირდება, არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო. პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, იმ შეთანხმების შესრულებაა, რაზეც მიმდინარე წლის 13 მარტს შეთანხმდა ოპოზიცია.

**3. გეგმავთ თუ არა კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებას და მის განხორციელებას სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების გასაძლიერებლად? თუ ასეა, გაგვიზიარეთ ამ პოლიტიკის ძირითადი ასპექტები.**

სოფლის მეურნეობის და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა გაზვიადებული გვეგონია და, როგორც წესი, გამოიყენება სხვადასხვა სუბსიდიის განსახორციელებლად და ამომრჩევლების მოსასყიდად. ჩვენ ავკრძალავთ სუბსიდიებს და დავუშვებთ თავისუფალ ვაჭრობას სხვა ქვეყნებთან. ამ შემთხვევაში კი დასახელებული პრობლემა ფიზიკურად აღარ შეიქმნება.

**4. ისახავს თუ არა თქვენი პარტია მიზნად იმგვარი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ტურიზმის, მასთან დაკავშირებული სექტორებისა თუ დარგების თანადგომასა და გაძლიერებას გულისხმობს? თუ ასეა, რა პოლიტიკას გაატარებთ ტურიზმის სფეროს მხარდასაჭერად, მათ შორის მცირე (საოჯახო) და საშუალო ზომის ტურისტული მეურნეობებისთვის?**

ტურიზმი ჩვეულებრივი ბიზნესია, რომელსაც თუ სახელმწიფო არ შეზღუდავს, განვითარდება. ჩვენი დაპირებაა ის, რომ ბიზნესს ხელს არ შევეშლით, პირიქით, დავეხმარებით თანასწორად და სამართლიანად, კერძოდ, შევამცირებთ გადასახადებს და გავაუქმებთ უაზრო რეგულაციებს. ეს მიდგომა ტურიზმის ბიზნესსაც ისევე ეხება, როგორც ღვინის ან მანდარინის წარმოებას და თანაბრად უწყობს ხელს მათ განვითარებას.

ასეთი მიდგომის შემთხვევაში ადამიანები მეტად მარტივად პოულობენ იმ საქმეს, რისი კეთებაც მათ ყველაზე უკეთ გამოსდით. გვჯერა, რომ ტურისტული ბიზნესი ერთ-ერთი ძალიან საჩვენო საქმეა, რადგან ქართული სამზარეულოც და სტუმარმასპინძლობის ტრადიციაც ამის საუკეთესო წინაპირობას იძლევა.

**5. გეგმავთ თუ არა პანდემიის დროს დაწესებული საშელავათო სისტემის შეცვლას? თუ ასეა, როგორია თქვენი გეგმა?**

რასაკვირველია, პანდემიის დროს ბიუჯეტი უმეტესწილად ხელისუფლებისადმი დაახლოებულ ბიზნესმენებზე გადანაწილდა, სავარაუდოდ, არჩევნებზე მხარდაჭერის სანაცვლოდ და ამის რეალური შედეგები პოზიტიურად არასოდეს აისახება ჩვეულებრივ ადამიანებზე.

**6. რა ღონისძიებებს მიმართავთ ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის საზოგადოებრივი თავშეყრის სივრცეებში?**

გავაუქმებთ ყოველგვარ შეზღუდვას, რაც ვითომ კორონა ვირუსთან ბრძოლის ფარგლებში საქართველოს ხელისუფლებამ დაუწესა ქვეყნის მოსახლეობას და მოვუწოდებთ ყველას, დაიცვას ჰიგიენის ნორმები.

**7. პანდემიამ განსაკუთრებული პრობლემები შექმნა განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის მხრივ, განსაკუთრებით იქ, სადაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ხელი არ მიუწვდებათ უწყვეტ ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნიკაზე. როგორია თქვენი გეგმა ამ პრობლემების დასაძლევად, თუკი კვლავ საჭირო გახდება სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში გადატანა?**

თავს დავანებებთ პანდემიასთან უაზრო ბრძოლას და ახალ-ახალი შეზღუდვების დაწესებას, ახალგაზრდებს მივცემთ განათლების ნორმალურად მიღების საშუალებას. კორონა უკვე ვიცით, რაც არის, ისიც ვიცით, რამდენად არაადეკვატურია მოსწავლეების და სტუდენტების სახლში გამოკეტვა ამ მოტივით.

**8. მოკლედ აღწერეთ სხვა ზომები, რომელთა გატარებასაც გეგმავთ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).**

გავხსნით საზღვრებს, გავაუქმებთ ყველა უაზრო იძულებით ღონისძიებას და აკრძალვას, ადამიანებს მივცემთ ცხოვრების ნორმალურად გაგრძელების საშუალებას.

პოლიტიკა და ეკონომიკა

**1. აპირებთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის ინიცირებას საქართველოს კონსტიტუციაში?**

საქართველოს კონსტიტუციაში აუცილებელია ცვლილებები ბევრი მიმართულებით. ჩვენ გვინტერესებს ცვლილებები სასამართლო და მართლმსაჯულების საკითხებთან (რაზეც უკვე შევთანხმდით ოპოზიციასთან და ამ პროცესს ვაგრძელებთ), საკუთრების უფლებების დაცვასა და კომუნისტების მიერ წართმეული ქონების ხალხისთვის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

**2. რა პოლიტიკას განახორციელებთ სასამართლოების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გასამდიერებლად?**

ხუთი პუნქტი, რომლებზეც შევთანხმდით ოპოზიციასთან ა. წ. 13 მარტს, კერძოდ:

1. ბრალდებულს უფლება აქვს მისი საქმე განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული სასჯელად ითვალისწინებს პატიმრობას.
2. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსამართლეებს უშუალოდ ხალხი ირჩევს.
3. კლანი უნდა წავიდეს.
4. ამერიკელი და ინგლისელი მოსამართლეები - სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში.
5. ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების პრეცედენტებად აღიარება.

**3. რა პოლიტიკას მიმართავთ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უზრუნველსაყოფად?**

თვალთვალის და მოსმენის უფლება და შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სასამართლოს. ვინც ამას უკანონოდ ჩაიდენს, უნდა დაისაჯოს გარდაუვალად და კანონის მთელი სიმკაცრით.

**4. როგორი საარჩევნო სისტემა უნდა არსებობდეს საქართველოში?**

სრულად პროპორციული ნულოვანი ბარიერით (რასაც გადაგდებამდე დაჰპირდა ქართველ ხალხს ბიძინა ივანიშვილი).

**5. რა გეგმები გაქვთ ზოგადად განათლების პოლიტიკის და კონკრეტულად დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის?**

რეგულირებების და სახელმწიფო ჩარევის გაუქმება განათლებაში და ამ სფეროს კერძო სექტორისთვის მინდობა.

**6. გთხოვთ დაასახელოთ კონკრეტული ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება შეფასდეს თქვენი ფისკალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები 2024 წელს.**

პროფიციტური ბიუჯეტი, რომლის ძირითადი შემოსავლის წყარო არის დღგ, ხოლო მისი ზომა მშპ-ს 18-20%-ს არ აღემატება.

**7. დაასახელეთ სახელმწიფო ხარჯების თქვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, თუკი ამ საკითხზე უკვე გაქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია.**

დაახლოებით მშპ-ს 10%, რაც მოიცავს თავდაცვის ხარჯებს, სასამართლო, პოლიცია და სხვა ძირითად ფუნქციებს.

**8. როგორია თქვენი პოლიტიკა სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ?**

სახელმწიფო ვალი მომავალი თაობის დაბეგვრაა და ნულამდე უნდა იყოს დაყვანილი. ამდენად, ბიუჯეტი დეფიციტის გარეშე უნდა იგეგმებოდეს, ხოლო, სანამ ვალი არსებობს, ბიუჯეტი პროფიციტური უნდა იყოს.

**9. გაქვთ თუ არა საჯარო სამსახურის შემდგომი განვითარების/რეფორმის გეგმა? რა არის მისი პრიორიტეტები?**

საჯარო სამსახურის რეფორმა არის ეკონომიკის სწრაფი განვითარების გეგმის ნაწილი. საჯარო სამსახურის, ბიუროკრატის და რეგულირებების უდიდესი უმრავლესობა უნდა გაუქმდეს, რასაც ავტომატურად მოჰყვება ბიუროკრატის ფუნდამენტური შემცირება და საჯარო სამსახურში მომუშავეთა კერძო ეკონომიკაში დაბრუნება ახალი პროდუქტის შესაქმნელად (ჩვენი აზრით, ბიუროკრატია ხალხისთვის საჭირო არანაირ პროდუქტს არ ქმნის, პირიქით, ხელს უშლის მუშაობაში).

„გირჩის“ გეგმა ბიუროკრატის შემცირების და კერძო სექტორში მათი დაბრუნების შესახებ ასეთია:

- ყველას, ვინც თავისი ნებით წავა საჯარო სამსახურიდან, წასვლის დღიდან სამი წლის განმავლობაში შეუნარჩუნდება არსებული ხელფასი.
- ყველა პოლიციელს და ძალოვანი უწყების ან მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომელს, რომლებიც თავიანთი ნებით წავლენ სამსახურიდან, გათავისუფლების დღიდან სამი წლის განმავლობაში შეუნარჩუნდება არსებული ხელფასი და მათ წინააღმდეგ არ აღიძვრება არანაირი საქმე (და თუ აღძრულია, შეწყდება ყველანაირი დევნა, რომელიც არ ეხება ადამიანზე ფიზიკურ ძალადობას ან უკანონო თავისუფლების

აღკვეთას); ხოლო მათ, ვინც ამ შეთავაზების მიუხედავად დარჩება მართლმსაჯულების სისტემაში, მათ მინიმუმ გაუორმაგდებათ ხელფასი (რადგან ჩანს, რომ არც საკუთარი წარსულის ემინიათ და თან წასვლის კარგი შანსის მიუხედავად სამართლიანობის სფეროში დარჩენას არჩევენ).

- საჯარო სამსახურიდან ამ წესით წასულ თანამშრომლებს ეზღუდებათ მომავალში საჯარო სამსახურში თანამდებობების დაკავება, გარდა არჩეული და პოლიტიკური თანამდებობებისა.

ვფიქრობთ, ამ პატიოსანი წინადადებით მივმართოთ დღევანდელ საჯარო მოსამსახურეებს და ვთხოვოთ მათ მხარდაჭერა ამ არჩევნებზე. გვჯერა, რომ საჯარო სამსახურში ბევრი გონიერი ადამიანი მუშაობს, მათ შორის არიან ჩვენი ოჯახის წევრები, მხარდამჭერები და მეგობრები. გვინდა, მათ მიეცეთ შანსი, გათავისუფლდნენ ბიუროკრატის მარწუხებისგან და, ამავედროულად, დაგვეხმარონ ამ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საქმის განხორციელებაში.

### საზოგადოებრივი და სოციალური საკითხები

#### **1. რა პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ასამაღლებლად?**

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია, სახელმწიფომ დაანებოს ამ სფეროს თავი და მისცეს თავისუფალი განვითარების საშუალება. დღეს ჯანდაცვა არის ყველაზე რეგულირებული სფერო, სადაც ყველაფერი კონტროლდება; იგი, ფაქტობრივად, შერწყმულია სახელმწიფოს, რომელიც მის მიმართ კეთილგანწყობილი ბიზნესმენების და მათი ბიზნესის მეშვეობით მომხდარია ამ სფეროს და კერძო ინიციატივების არდაშვებით აჭაობებს მას.

#### **2. რა ინიციატივებს (თუკი ასეთი გაქვთ) სთავაზობთ მოსახლეობას სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით?**

სამედიცინო სფეროს გათავისუფლებას, მასში მეტი თავისუფლების და მეტი კონკურენციის დაშვებას, რაც ავტომატურად ზრდის ხარისხს და ამცირებს ფასს. სხვა ნებისმიერი ე.წ. რეფორმა, რომელიც ამცირებს ამ სფეროში კერძო ინიციატივას და თავისუფალ მოქმედებათა შესაძლებლობას, არის ამ სფეროს წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი.

#### **3. რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?**

ყველა იძულებით გადაადგილებული პირი სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს საცხოვრებელი ფართით. იძულებით გადაადგილებულ პირებს სახელმწიფომ ასევე დროულად უნდა დაურეგისტრიროს საკუთრებაში ის ფართი, რომელიც მათ თვითნებურად დაიკავეს.

ამ საკითხის განხილვისას არსებითია დროის ფაქტორი და დროული რეაგირება, რათა თავიდან ავიცილოთ დევნილებით მანიპულირების მცდელობა წინასაარჩევნოდ, რასაც ხშირად მიმართავენ

ხოლმე მმართველი პარტიები.

**4. რა წინადადებებს (თუკი ასეთი გაქვთ) გვთავაზობთ უმცირესობათა (რელიგიური, ეროვნული, სექსუალური და სხვ.) უფლებების ეფექტური დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტად ინტეგრირებისთვის?**

ადამიანები არიან თანასწორები, უფლებრივად არ შეიძლება მათი დაყოფა რამე ნიშნის მიხედვით. ჩვენ საქართველოს ყველა მოქალაქეს მოვეპყრობით თანასწორად, თუ ვინმე ღარიბია და თავის შენახვა არ შეუძლია, უნდა დავეხმაროთ, მიუხედავად იმისა, რომელი უმცირესობის წევრად მიიჩნევს თავს. შესაბამისად, არც პრივილეგიებს მივანიჭებთ რაიმე ჯგუფის მიმართ კუთვნილების გამო, მაგრამ არც მათ მიმართ ჩადენილი რაიმე ტიპის ძალადობა დარჩება დაუსჯელი.

**5. პარლამენტთაშორისი კავშირის (IPU) მონაცემებით, საქართველო 191 ქვეყანას შორის 144-ე ადგილს იკავებს საკანონმდებლო ორგანოში ქალი დეპუტატების რაოდენობის მხრივ. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც პოლიტიკაში ქალთა თანამონაწილეობის გაზრდა-გაფართოებას ეხება.**

ვფიქრობთ, საკანონმდებლო ორგანოში უნდა იყვნენ პოლიტიკოსები სქესის მიუხედავად. ჩვენ გვაქვს „გირჩის“ პოლიტიკოსების შერჩევის მერიტოკრატიული სისტემა, რომლის მიხედვითაც ნებისმიერს აქვს წარმატების თანაბარი შანსი. პოლიტიკოს ქალთა უფლებებს ყველაზე მეტად არღვევს ე. წ. კვოტირება, რომელიც ახლახან მიიღო ქვეყნის პარლამენტმა. ეს კანონი გავასაჩივრეთ საკონსტიტუციო სასამართლოში და ყველაფერს გავაკეთებთ მის გასაუქმებლად.

**6. რა პრობლემებს ხედავს თქვენი პარტია ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ და რას აპირებთ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად?**

ბავშვთა უფლებების დარღვევის ყველაზე თვალსაჩინო შემთხვევაა ე.წ. ბავშვთა კოდექსი, რომლის მიხედვით ბავშვის და მშობლის ურთიერთობათა უდიდეს ნაწილში სახელმწიფოს ცხვირის ჩაყოფის უფლებამოსილება მიეცა და ფეხქვეშ გაითელა ყველანაირი არსებული ტრადიცია თუ ადამიანური ურთიერთობის მიღებული წესები; ნაცვლად კი მივიღეთ არაბუნებრივი, ტრენინგზე ნასწავლ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანური ცხოვრების წესს. ამ კოდექსს გავაუქმებთ და ვეცდებით დავითანხმოთ კოლეგები პარლამენტში, რომ მშობლის და ბავშვის ურთიერთობაში არ ჩაერიოს სახელმწიფო, თუ არ გვაქვს ძალადობის დადასტურებული შემთხვევები.

**7. როგორია თქვენი თვალსაზრისი ქვეყნის კულტურის პოლიტიკის შესახებ?**

კულტურის განვითარებას არ უნდა შევეშუალოთ ხელი. ამისთვის უნდა არსებობდეს გამოხატვის თავისუფლება, რათა ნებისმიერს ჰქონდეს აზრის თავისუფლად გადმოცემის საშუალება საჯაროდ, არ უნდა იყოს ცენზურა და სახელმწიფო კონტროლი ხელოვნებასა და კულტურაზე. ასევე, უარი უნდა ვთქვათ კულტურის ე.წ. მუშაკების დაფინანსება-სუბსიდირებაზე გაჭირვებული ხალხისთვის წართმეული ფულით.

**8. გთხოვთ დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას.**

მეტი თავისუფლება კერძო სექტორს და კერძო საკუთრების დაცვა. ასევე, არაფრის მომცემი, უაზრო რეგულირებების და აკრძალვების გაუქმება, რომლებიც ვითომ გარემოს იცავს, რეალურად კი მათ საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვება. მაგალითად, ქვეყნის მთელი ტყე-პარკი ვითომ სახელმწიფო საკუთრებაშია და რეალურად კი უპატრონოა, რომელსაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანამდებობის პირთა ნებართვით თუ ლოცვა-კურთხევით ჩეხავს და ანადგურებს ის, ვინც მოცემულ მომენტში არის ხელისუფლებაში.

**9. აპირებთ თუ არა სპეციალური პოლიტიკის გატარებას, რის შედეგადაც ქვეყანაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება გაუმჯობესდება?**

ახალი გზების და ესტაკადების მშენებლობა თანამედროვე სტანდარტებით. ჩვენ ინჟინრები არ ვართ, მაგრამ ვიცით, რომ დღევანდელი ხელისუფლების სწრაფვა სამანქანო გზების შემცირებისკენ მცდარია; პირიქით, ფეხი უნდა ავუბათ სამყაროს განვითარებას და ვისწავლოთ თანამედროვე გზების მშენებლობა.

**10. შემუშავებული გაქვთ თუ არა პოლიტიკური პოზიცია, რათა ხელი შეუწყოს სამოქალაქო სექტორის/არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებას?**

არასამთავრობო სექტორმა საქართველოს მოსახლეობას უნდა შესთავაზოს ისეთი პროდუქტი, რაც ადგილობრივი შემოწირულობებით დაფინანსდება. შედეგად, არ იქნება მუდმივად დამოკიდებული საერთაშორისო დამფინანსებლებზე, რომლებსაც ხშირად გაუგებარი დღის წესრიგი და ე. წ. აჯენდა აქვთ, რის გამოც რეალურად ცდებიან ხალხის სურვილებს და საჭიროებებს. არ გვგონია, რომ რამე უნდა გავაკეთოთ სპეციალურად მათთვის, გვგონია, რომ ხელი არ უნდა შევეშალოთ საქმიანობაში და საკუთარი საქმიანობის სფეროს პოვნაში.

*საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები*

**1. გთხოვთ განიხილოთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები. როგორ აპირებთ მათ რეალიზაციას?**

გვინდა, რომ ჩვენი მოქალაქეები გადაადგილდებოდნენ და ვაჭრობდნენ თავისუფლად, ყველგან, სადაც მათ მოუნდებათ და რამდენადაც შესაძლებელია ამის მიღწევა თანამედროვე სამყაროში. გვინდა, მშვიდობიანი ურთიერთობა ყველასთან, ხოლო ყველაზე მეტად ამერიკის შეერთებული შტატების იმედი გვაქვს.

**2. რომელ ქვეყნებთან/ქვეყნების გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა თუ თანამშრომლობის დამყარებისა და განმტკიცებისთვის? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?**

ყველასთან, რომელიც აგრესიისა და მტრის შემოსევისგან დაგვიცავს, მაგრამ მოცემულ ისტორიულ მომენტში ყველაზე მეტი იმედი გვაქვს ამერიკის შეერთებული შტატების, ზოგადად - დასავლური წესრიგის და ცივილიზაციის, შესაბამისად, აქეთკენაც მივისწრაფვით.

**3. რა საკითხებს ანიჭებთ განსაკუთრებულ პრიორიტეტს ევროკავშირთან ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულებების რეალიზაციის პროცესში?**

იმას, რომ ნაკლები რეგულირებებით და ბიუროკრატიით შევძლოთ ფუნქციონირება და ჩვენთვის სავალდებულო არ იყოს ყველაფერ იმის მკაცრად შესრულება, რა მოთხოვნებიც არსებობს ზოგადად ევროკავშირისგან - ამ მოთხოვნათა შესრულება ძალიან შეაფერხებს ჩვენს ეკონომიკურ ზრდას და კიდევ დიდხანს დაგვტოვებს სიღარიბეში.

**4. რა საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებთ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?**

მშვიდობიანის, რომელიც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მისცემს თავისუფალი ვაჭრობის და თავისუფლად გადაადგილების თავისუფლებას.

**ეროვნული უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა**

**1. თქვენი თვალთახედვით, როგორი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?**

ეროვნული უსაფრთხოებისთვის ჩვენნაირ ქვეყანაში აუცილებელია ბევრი ინვესტიციის დაბანდება, რათა სხვადასხვა ქვეყნის ინვესტორები ისევე დაინტერესდნენ ამ ქვეყნის სტაბილურობით, როგორც საქართველოს მოქალაქეები. საქართველოში უნდა შემოდიოდეს სოლიდური კაპიტალი მდიდარი ქვეყნებიდან, რათა ამ ქვეყნებში გაჩნდეს პოლიტიკური დაკვეთა ჩვენი ქვეყნის სტაბილურობაზე. ამავდროულად, უნდა მოვიქცეთ გონივრულად, რომ გვქონდეს კარგი საინვესტიციო გარემო და საქართველო იყოს მიმზიდველი ადგილი ბიზნესის საკეთებლად.

**2. როგორ წარმოგიდგენიათ ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაცია?**

უნდა ვთხოვოთ დახმარება ჩვენს პარტნიორებს, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ გამოგვიგზავნონ სპეციალისტები, რომლებიც დაგვეხმარებიან თანამედროვე ცოდნით და მოვიქცეთ ისე, როგორც გვირჩევენ. თანამედროვე თავდაცვა უნდა ვისწავლოთ მათგან, ვისაც ეს დღეს სამყაროში ყველაზე უკეთ გამოსდის.

**3. რა პოლიტიკას გაატარებთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?**

ეს ქვეყანა უნდა გახდეს უკეთესი და მიმზიდველი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხისთვის, რათა რეალურად გვქონდეს შესათავაზებელი მათთვის. ეს ქვეყანა თუ უკეთესი არ გახდა, ამის შანსი არ არსებობს და სანამ ამას ვიზამთ, მანამდე ამ ხალხთან ლაპარაკი უნდა დავიწყოთ. ერთმანეთთან საუბარი თავიდან გვაქვს სასწავლი.



**4. რა ნაბიჯებს გადადგამთ იმისთვის, რომ უკეთ დაიცვათ ქვეყანა „მცოცავი ოკუპაციისგან“?**

უფრო ხმამაღლა ვიყვირებთ, უფრო მეტ ადგილას ვისაუბრებთ ამ პრობლემაზე და უფრო მეტ დისკომფორტს შევუქმნით ოკუპანტს, პარალელურად კი ვეცდებით, საქართველო იყოს მიმზიდველი და საინვესტიციო ქვეყანა სხვებისთვისაც. ასეთ შემთხვევაში უკეთ შევძლებთ ამ მიზნის მიღწევას მათი დახმარებით.